№ 199
სამშაბათი, 20 სექტემბერი 1894

1877—1894

# ივერია

№ 199
სამშაბათი, 20 სექტემბერი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 0 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერია“
გამოდის 1894 წელს
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

## დეპეშა

16 სექტემბერი

**პეტერბურგი.** ოფიციალურად გამოცხადებულია: ხელმწიფე იმპერატორი, მას შემდეგ, რაც შარშან იანვარში ინფლუენცით ძალიან ავად იყო, აქამდის სრულიად ვერ განიკურნა. ამ ზაფხულს თირკმელების ავადმყოფობა—„ნეფრიტი“ გამოაჩნდა. ამ ავადმყოფობისაგან ჯეროვანად განკურნებისათვის საჭიროა, რომ ხელმწიფე იმპერატორმა, აციებების დროს, თბილს ჰაერზე დაჰყოს. პროფესორების ზახარინისა და ლეიდენის რჩევით იმპერატორი დროებით საცხოვრებლად ლივადიაში მიბრძანდება.

**ლონდონი.** ვიჟუსთან, მდინარე იალუსზე შეკრებილი ჩინელების ჯარი აჯანყდა: ჯარის-კაცებმა თავისს იარაღი ერთიანად დაამტვრიეს და გააფუჭეს. პეკინში დიდად შეშინებულნი არიან და ძრწიან. ჩინელები უიმედო მდგომარეობაში არიან.

იოკაჰ მიდამ ცნობები მოვიდა, რომ საზოგადოება ომის განგრძობას თხოულობს სხვა-და-სხვა დაბრკოლების მიუხედავად ჲ იმ აზრისაა, რომ პეკინს უნდა თავს-დაესხათო.. პარლამენტმა ამისათვის საჭირო ფული გადასდო. საიმპერატორო გვარდიის სათადარიგო ჯარი კვლავ მოხმობილ იქმნა.

18 სექტემბერი

**პეტერბურგი.** ანტვერპენის მსოფლიო გამოფენაზედ რუსეთის ექსპონენტებს 225 ჯილდო მიუსაჯეს, მათ შორის 14 უმაღლესის ხარისხის ჯილდოა.

## ახალი ამბავი

⁂ თელავიდგან დეპეშით გვაუწყებენ, რომ იქ გარდაცვლილა თავ. მელქისედეკ გიორგის ძე ჭავჭავაძე, რომელსაც ქართულ სალიტერატურო ფონდისათვის ხუთასი მანეთი უანდერძებია.

⁂ გუშინ, 19 სექტემბერს, ტფილისში დეპეშა მოვიდა, რომ მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ერმოლოვი დილით ჩაქვაში მოვიდა საგანგებო მატარებლით და აქ დაათვალიერა სოლოვცოვის და პაპოვის ჩაის მცენარეები და აქაური ბაღოსნობა. იმავე დღეს ბ-ნი მინისტრი წასულა ქუთაისს.

⁂ გაზ. „რუსსკ. ჟიზ.“-ი ამბობს, რომ ამ დღეებში დაამთავრებენო ყარსისკენ რკინის გზის შტოს გასაყვანად დაწყებულს გამოკვლევას. იკვლევდა ოთხი დასი ინჟენრებისა. საზოგადოდ, ამ შტოს მანძილი, ჯალალ-ოღლიდგან დაწყებული 445 ვერსს არ აღემატება. გზას რამდენიმე გვირაბი დასჭირდება და ამათში ყველაზედ უდიდესი 900 საჟენს არ აღემატება. გზის გამოკვლევის დამთავრების შემდეგ ინჟენრების მოხსენება გზათა მინისტრს წარედგინება.

⁂ იუსტიციის მინისტრი სენატორი ი. ლ. გორემიკინი კვირას ტფილისში ჩამოვიდა სასამართლოების სარევიზიოდ.

⁂ გუშინ მის იმპერატორებითი უდიდებულესობის იმპერატრიცა მარიამის კანცელარიის უმთავრესმა გამგემ გენერალ ლეიტენანტმა პროტასოვ-ბახმეტევმა დაათვალიერა კავკასიის დედათა ინსტიტუტი.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ ახლად დაარსებულ საზოგადოების „ბაგას“ დამფუძნებელ წევრთა საერო კრება აქვთ დანიშნული 25 სექტემბერს ნაშუადღევის პირველ საათზედ ქალაქის საბჭოს დარბაზში.

⁂ ტფილისის გუბერნატორი თავ. შერვაშიძე ბორჯომიდგან ტფილისში დაბრუნდა.

⁂ ბუხარის ემირმა ბაქოში წასვლის წინა დღეს დააჯილდოვა ბუხარის ოქროს პირველის ხარისხის ვარსკვლავით: კავკასიის მთავარ-მმართებლის კანცელარიის დირექტორი ი. ვ. მიცკევიჩი, ტფილისის კომენდანტი გენერალ-მაიორი ნ. ი. რეიტერი; მეორე ხარისხისა: მთავარ-მმართებელ, ს. ა. შერემეტევის ადიუტანტები გრაფი სტემბოკ ფერმორი და თავ. მელიქოვი; მესამე ხარისხისა: ტყავის ქარხნის პატრონი ადელხანოვი ვერცხლის ვარსკვლავით; მეორე ხარისხისა: მთავარ-მმართებლის ადიუტანტები თავ. გურიელი და კარავაევი, სამეგრელოს პოლკის ადიუტანტი ჩემინოვსკი; ოქროს მედლებით: პოლიციის მოხელენი ჟღენტი, ჯაფარიძე, მალჩანოვი და კავალევსკი. პოლიციის ბოქაულს ლოლაძეს ექვსი ხალათი მისცა. ამას გარდა, ემირმა ფულითაც ბევრი დააჯილდოვა.

⁂ კვირას, 18 სექტემბერს, პოლიციის მეექვსე განყოფილებაში ერთი მაჰმადიანის ცოლი გახდა ავად ხოლერის მსგავსის ავადმყოფობით და იმავე დღეს გარდაიცვალა. იმის სადგომში დეზინფექცია მოახდინეს, ხოლო გარდაცვალებული-კი საავადმყოფოში წაიღეს.

⁂ დიდი ხანია, რაც ტფილისის სასულიერო სემინარიაში შემოღებულია ქართული საეკკლესიო გალობა ქართლ-კახურ და გურულ კილოზედ, მაგრამ აქამდის თითქმის კუს ნაბიჯით მიდიოდა იმისი საქმე ამ წელს-კი თანდათან გაუმჯობესობა და განკარგება ეტყობა. ამისი თავი-და-თავი მიზეზი იმათი გულ-მოდგინეობა და დაუღალავი მეცადინეობაა, რომელთაც მინდობილ აქვთ საეკკლესიო გალობის სწავლება სემინარიაში. დიდი მადლობის ღირსნი არიან მღვდელი მ. ვასილ კარბელაშვილი და ბ-ნი მ. შარაძე, რომელნიც არავითარ ღონისძიებას არ ჰზოგავენ ქართულის გალობის განკარგებისათვის. წინა წლებთან შედარებით ქართულს გალობას უმეტესი ადგილი აქვს დათმობილი.

⁂ უცნაურად ატყუებენ ხალხს ქველ-მოქმედების სახელით. 18 სექ-

## ფელეტონი

**დღეობაში**

(სურათი სოფლის ცხოვრებიდგან)

I

— ნიკო, აბა აქ მოდი, რა გითხრა, დაუძახე ერთს ახალგაზდა ჩოხოსანს, რომელიც ორი თავადიშვილის ოხუნჯობას და ბაასს მისჩერებოდა.

— ამბავი? შემომეკითხა ნიკო და გამოსწია ჩემსკენ.

— იცი რა გითხრა? მოდი, აქ ტყუილად დგომას ს. კ—ში წავიდეთ?

— რა ამბავია კ—ში?

— კაცო, დღეს კვირაცხოვლობაა და კ—ში თურმე კარგი დღეობა იცის, წავიდეთ, თვალს გავახელთ.

— ძალიან კარგი, მაგრამ სადილად იქ რომ არავინ დაგვპატიჟოს, ახლა ისევ აქ გადმოვეხეთქოთ?..

— რა არის მერე? რა შორი გზა ჩვენა გვაქვს გასავლელი, სულ ვერს ნახევარი თუ ორი ვერსია; ცოტა ცივა კიდეც, გავხურდებით...

— მივდივართ, დაიძახა ნიკომ, ხელი ჩამავლო და გავწიეთ კ—სკენ.

ნახევარ საათ-ს შემდეგ ჩვენ უკვე შევერიენით ერთს ძველს ეკკლესიას თან მოყრილს სალოცავად და სამხიარულოდ ხალხის გუნდში. დიდი ჟრიამული და ხმაურობა იყო ეკკლესიის ეზოში; ყველა ხარობდა, ყველას სახეზედ სიამოვნების ღიმილი უკრთოდა, ყველას დაჰვიწყებოდა შრომა, ჯაფა, სიღარიბე, ტანჯვა, წვალება და აქ მოსულიყო სამხიარულოდ, სათამაშოდ, რომ ხვალ უფრო ენერგიულად მოეკიდნა ხელი საქმისთვის. ერთს კუთხეში დართულნი და უმარილით გათხუპული ქალები „ბუზიკაზედ“ და დაირაზედ ლეკურს უვლიდნენ; მეორე მხარეს ჭაბუკნი ემზადებოდნენ „ორპირულით ლიტანიობას“ ეკკლესიის გარშემო. დანარჩენიც ერთმანეთში არეულიყვნენ... ბავშვები ტიროდნენ, ჩხაოდენ და ხელს იქით იშვერდნენ, სადაც მედუქნეს გაემართა ბაზარი და ხალხის მისატყუებლად ხან „მუზიკას“ აჭყიტუნებდა და ხან გაჰკიოდა: გარმონები, კანფეტები, ქიშმიში იაფად, პა, პა, პა...

აგერ გაისმა ამოდენა ჟრიამულში წკრიალა ხმა, ბანმა გუგუნით ხმა მისცა და დაიძრა „ორპ-რი“. მომღერალთა დასი ორ გუნდათ გაყოფილიყო: გაათავა პირველმა გუნდმა და შემოსძახა იგივე მეორემ... ასე სცვლიდა სიმღერაში ერთი გუნდი მეორეს, სანამ ეკკლესიას სამჯერ არ შემოუარეს. მე და ნიკო შევსცქეროდით და ყურს ვუგდებდით გაჩუმებულნი. ორივენი გატაცებულნი ვიყავით მწყობრი და დამატკბობელ სიმღერით. მართლაც და მშვენივრად მღეროდნენ! პირველი გუნდი დაიწყებდა დაბლა, თანდათან მაღლა უწევდა და ბოლოს პირველი ხმის ზარივით წკრიალი ცასა სწვდებოდა და მსმენელის ყურს საოცარ ჰარმონიით ატკბობდა...

შემდეგ მეორე გუნდი ართმევდა პირველს სიმღერას, ცამდის მიღწეული ხმა ძირს ჩამოჰქონდა, რომ თავის დროზედ უფრო უკეთ, უფრო ალტაცებით და კრიალით კვლავ ცაში აეტაცნა ხმაც და მასთან ყურის მგდებელიც...

მომღერალთა დასი შესდგა ერთს უფრო ვაკე ალაგზედ... ორმოც-დაათმდის კაცმა გადაჰხვია ერთმანეთს ხელი, გააკეთეს წრე და ის იყო „ფერხული უნდა დაეწყოთ, რომ ვიღამაც დაიძახა:

— კიკო მოდისო...

— კიკოს გაუმარჯოს, თითქმის ყველამ ერთხმად მიესალმნენ გათეთრებულს და ცოტათი წელში მოხრილს ბერი-კაცს...

— ღმერთმა გაცოცხლოთ... რაღას უყურებთ, დაიწყეთ „ფერხული“... შეუძახა კიკომ და იქვე ქვაზედ ჩამოჯდომას აპირებდა.

— ტყუილადა სჯდები, უშენოთ არ იქნება, შენ უნდა სთქვა პირველი, თითქმის ერთხმად შეუძახეს კიკოს...

— რას ლაპარაკობთ, კაცი ძლივსღა დავლასლასებ და ეხლა თქვენთან ჩავება ფერხულში?

— შენი ჭიმრიმე, კიკო, ერთი შენებურად დასძახე, ეხვეწებოდა ღიმილით ერთი შავგრემანი კაცი.

— შენ ჩვენითანებს კიდევ აჯობებ, ეუბნებოდა მეორე...

— ადე, კიკო, ადე, ეუბნებოდნენ სხვები...

— გიჟები არიან, დაიძახა სიცილით კიკომ და მე და ნიკოს გადმოგვხედა.

— ადე, ხათრს ნუ გაუტეხავ ახალგაზდობას, უთხრა ნიკომაც.

— რასა ბრძანებ, კნიაზო, რაღა დროს ჩემი „ფერხულში“ ჩაბმაა...

— ადე, კარგი, ჰო, ნულარ გვალოდინებ..

როგორც იყო ბერიკაცი დაითანხმეს.

— კარგით, კარგით. ახლა მეორეს ვინ დამძახებს...

— ვინ? აი, შენი ბიჭი სვიმონა დაგძახებს...

არ გაუვლია ორ წამს ამის შემდეგ, რომ ორმოც-და-ათამდე კაცი სიმღერით, კიჟინით ციბრუტსავით ტრიალებდა და თან „შავლეგოს“ გაიძახოდა...

გუშინდელს თავ-ჩაქინდრულს ჭაბუკს, დღეს თავი მაღლა აეღო და სცდილობდა სიმღერით, თუ თამაშით არ ჩამორჩენოდა სხვებსა და არ დარჩომილიყო გაწბილებული ქალების თვალში, რომელთაც ლეკურისთვის თავი გაენებებინათ და ეხლა შეჰყურებდნენ „ფერხულს“ ჩუმი ღიმილით.,. მართლაც და ღირსი იყო ყურადღებისა და სმენისა! ორმოც-და-ათი კაცი ხელ-გადახვეულნი ისეთი სისწრაფით, მწყობრად და ლაზათიანად დაჰქროლავდნენ, რომ მეტი არ შეიძლებოდა; იმათი ხმა ისე სჭექავდა და გრიალებდა თითქო საომრად მიდიანო... იმათი კიჟინი, იმათი სიმღერის გუგუნი რაღაცას მაგონებდა... ეს მოგონება სულს მიტკბობდა, გულს მილხენდა და თანაც მაფიქრიანებდა და მაღონებდა...

— ჰხედავ, ის ბერი კაცი როგორ გაჰკივის, როგორ აწკრიალებს ხმას... შემომეკითხა ნიკო.

— მართლაც და მშვენივრად ამბობს, მიუგე მე და შევაშტერდი ბერი კაც კიკოს. როგორც ეტყობოდა უკვე დაღლილიყო, სახე წამოსწითლებოდა და ოფლსაც მაღალი, დასერილი შუბლი დაესველებინა.

— ერთი მაგისი თამაში რადაც უნდა ღირს, აბა უყურე, თუ რომელიმე ახალგაზდა მაგაზედ მარდად და შნოიანად აყოლებდეს ფეხებს...

— რასა ბრძანებთ, კნიაზო, ჩამოერია ჩვენ ლაპარაკში ერთი შუა ხნის გლეხი კაცი, უნდა გენახათ თავის ჭაბუკობაში რა ბიჭი იყო და... ისეთ-

ტემბერს, ღამის 11 საათზედ, დიდი ალიაქოთი და ჩხუბი იყო ელისაბედის ქუჩაზედ, მე-168 №-რის სახლში. ვიღაც დ. ი. გულიანს საცეკვაო საღამო გაემართა, გაეყიდნა დიდ-ძალი ბილეთები, ვითომ-და საქველმოქმედო აზრით. მივიდა ხალხი, მაგრამ რა ჰნახეს: ერთს დიდს ცარიელს, დანგრეულს დარბაზში ვიღაც ბიჭ-ბუჭებს მიეყვანათ ზურნა და კინტოურსა ჰბუქნავდნენ. მშვენივრად დართული ქალები, რომელთათვისაც მოტყუებით მიეყიდნათ ბილეთი, კარებში შეკრებილიყვნენ და ჩხუბი ჰქონდათ, ფულსა თხოულობდნენ. ამასობაში ამ ამბავს პოლიციამაც მიაქცია ყურადღება და საცეკვაო საღამოს გამმართველთ პოლიციაში ამოაყოფინა თავი.

*** ქართველთა დრამატიულ საზოგადოების წლიური კრება, 18 სექტემბრისთვის დანიშნული, 26 სექტემბრის საღამოს 7 საათისათვის გადაიდო, რადგანაც კანონიერი რიცხვი წევრებისა არ დაესწრო. 26 სექტემბერს-კი კრება უთუოდ შესდგება, რამდენი წევრიც უნდა მოვიდეს.

*** 18 სექტემბერს ტფილისიდგან ხაშურს კომისია გაემგზავრა და დაათვალიერა ს. ქვიშხეთის ის ადგილები, სადაც მცირე-წლოვან ბრალდებულთათვის ზნეობის გამასწორებელი ახალ-შენები იქმნება გაშენებული.

*** ქ. სოხუმი: 15 სექტემბერს, საღამოს საათის 8-ზედ ელექტრონით გაანათა ქალაქის არე-მარე ახლად მოსულმა სამხედრო გემმა და ამით ამცნო მცხოვრებთ სახელწიფო ქონებათა და მიწათ-მოქმედების მინისტრის ერმოლოვის მოსვლა, რომელიც ახალ-ათონის კუთვნილის ეტლით მოვიდა. ბინა გამზადებული იყო აქაურის ოლქის უფროსის სადგომში, სადაც დახვდნენ ქალაქის წარმომადგენელნი და ყველა უფროსნი მოხელენი სხვა-და-სხვა უწყებებისა. ქალაქის დეპუტატებმა მიართვეს პურ-მარილი. ბ-ნი მინისტრი აპირებს სამს დღეს დარჩეს სოხუმის მაზრაში, სადაც სურს დაათვალიეროს რამდენიმე სოფელი, მაგრამ უმეტესი ყურადღება ექნება მიქცეული რუსთა სოფლებს. ინახულებს დრანდის მონასტერს და სოხუმის საუკეთესო ბაღებს.

*** სოფ. სურები (გურია). ახალის მაზრის უფროსის განკარგულებით სურების საზოგადოების გზა, რომელიც მოდის დ. ჩოხატაურიდგან, დაუყვეს გლეხებს გასაკეთებლად. ორი კვირაა, რაც გლეხებმა მუშაობა დაიწყეს. გზა კეთდება ჯერ სურების სოფლის სასამართლომდე და ამისათვის მარტო ამ ადგილამდე არის დაყოფილი. თითოეულს გლეხს, რომელსაც მუშაობა შეუძლიან, მიზომილი აქვს ექვსი ან შვიდი საჟენი გზა. გლეხები შეუსვენრად ჰმუშაობენ, რადგანაც ეხლა სხვა საქმე ბევრი აქვთ; და ერთის საათის შესვენებაც არა აქვთ და ხშირად ღამეც მუშაობენ მთვარის სინათლეში. რასაკვირველია, ასე არ გაუჭირდებოდათ, რომ ყველა მონაწილეობას იღებდეს.

*** იქიდამვე: ამ ცოტა ხანებში ძლიერ ცუდი დარები დაგვიდგა. პირველ სექტემბრიდგან სულ წვიმაა, მაგრამ ამას აღარ დაგვაჯერა და 7 სექტ. თოვლიც გვესტუმრა. წარმოუდგენელი ზარალი მოგვცა ამ მოულოდნელმა უდროო სტუმარმა; ყანები და თუთუნები სულ გაგვიოხრა. საწყალი ყანის მუშები სტირიან, სიმშილობა გვეწვიაო. 8 სექტემბერს კარგი დარი დადგა, მაგრამ ეხლა უცებ დასავლეთის ქარმა დაჰბერა და ისევ წვიმა წამოვიდა.

*** გორი 18 სექტემბერს, ღამის 10 საათზედ, როცა სახალხო მატარებელმა გაიარა, სადგურის ცოტა მოშორებით, რკინის გზის ლიანდაგზედ ნახეს ჯერ ისევ თბილი გვამი ვიღაცა უცნობის კაცისა. გვამი გარეგნობით ქართველისასა ჰგავს, ხნით 50 წლის კაცია. არ იციან მატარებლიდგან გადმოვარდნილი მგზავრია თუ გორის მცხოვრები, რომელიც გზად მიდიოდა და ქვეშ მოჰყვა მატარებელს.

*** თიათნეთის მაზრა. ადრეულმა სიცივემ და მთაზე ამ სექტემბერის პირველსავე კვირას მოსულმა თოვლმა დიდი ზიანი მისცა მთაზედ მყოფ ცხვარს. ჯერ-ჯერობით არ არის გამორკვეული, თუ მთელს მაზრაში რამდენი ცხვარი დახოცა ამ თოვლმა. არ იციან აგრეთვე რა ზარალი მოუვიდა თიანეთის მაზრელებს თრიალეთის მთაზედ. მხოლოდ ერთს სოფელს ლიშოს მცხოვრებელს მამუკაშვილს, თავისი და საზიარო„ ამ ზაფხულს თრიალეთის მთაზე ხუთი ათასი ცხვარი ჰყოლია. მთიდან მომავალს გზაზე მოესწრო თოვლი და ქარბუქი და სამი ათასი ცხვარი დაჰღუპოდა. საცოდავს ამ ზარალის შემდეგ თავი მოეკლა.

*** ცხინვალი: ივნისი, ივლისი და აგვისტო ისე გავიდა რომ ცას ნამი არ გადმოვარდნია. ქვენა ქარმა ხომ სული ამოგვხუთა. მოგვისვა ხელი და თითქმის ოჯახში ადამიანი აღარ დაუტოვებია გაუცივ-გაუცხლებელი. პირველ სექტემბრიდგანვე მოვარდა დასავლეთის, ზღვის ქარი და ნისლ-ბურუსმა მოიცვა არე-მარე. მიგდებულ მიკიწყებული ზამთრის ტანისამოსი და დაჟანგებული ფეჩები მოგვანახვინა. ამ ყოფაში ვიყავით პირველიდგან რვამდის. რვას კი აღმოსავლეთიდგან დასავლეთამდის მოეკაშკაშებინა. მინდვრები თრთვილს იალბუზი საცივიანო ძირის კალთებამდის ჩამოეთოვლა. აი მიზეზიც ეს იყო ასე უცებ აცივებისა. საცოდავად მოჰფშრუკა ფოთოლი და მტევნები მდუღარეში გავლებულს დაამსგავსა. არ მოესწრო გადავრჩენილიყავით როგორმე. არც თუ ნაადრევ სიმინდს დააყარა ხეირი.

*** ვერაზედ, წყნეთის ქუჩაზედ, საუფლისწულო უწყება შეუდგა ღვინის სარდაფის აგებას.

*** ტფილისის გარშემო ტყის გაშენების საქმე კარგად მიდის, რადგანაც იმ ხეებმა, რომელიც წლის დასაწყისში დარგეს ნაძალადევის უკან, მშვენივრად იხარა. აქამდის 5% თუ იქმნება წამხდარი, დანარჩენებმა კი მშვენვრად აიყარეს ყლორტი და ფოთლებით შეიმოსნენ. ყველაზედ კარგად, რასაკვირველია, ლობიოს ხე ჰხარობს, არა უჭირს-რა აგრეთვე თეთრის რცხილისა, იფნისა და მსხლის ხეებსაც. („კავკაზი“)

*** 17 ამ თვისას კაკვაკის მცხოვრებლის ცოლმა იმჩნოვისამ პარალელის ქუჩაზედ საკუთარს სადგურში სიმთვრალის დროს გოგირდის სიმჟავე დალია. ქალი სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*** 17 სექტემბერს სუმბათოვის ქუჩაზედ, ხარკოვსკის სარომკიაშო სახლში ტფილისის მცხოვრებელი გიორგი სტეფნეს ძე ნიკოლოზიშვილი ცუდის ყოფაქცევის ქალს ანნა პოლოვინს წაეჩხუბა და ზურგში ორის ალაგას დასჭრა. ქალი სამკურნალოში გაჰგზავნეს და გზაზედ გარდაიცვალა, დამნაშავე დაიმალა.

*** ამავე დღეს ერევნის მცხოვრებელმა არმენაკ სარქისოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ სურბ-კარაპეტის ქუჩაზედ 13 ამ თვისას, ჩემთან მყოფმა ეჩმიაძინის მცხოვრებელმა სარქის თევოსიანცმა სამი თუმანი ფულად და სამის თუმნისავე ნივთეულობა მომპარაო. დამნაშავეს დაეძებენ.

# დამაკვირდი

უსულო მტერზედ უფრო საშიში ის არის, რომელსაც ჰმულვართ და ამასთან ალერსიანად და დიდად თავაზიანად გვეპყრობა.

**

მაღალის ხის წვერს უფრო ადვილად დაჰკრავს მეხი.

პერნერი

**

სიკეთე ბოროტისა და სიავე კეთილისა ის არის, რომ არც ერთი და არც მეორე ხანგრძლივ არ გასტანს.

თალმუდი

## კორესპონდენცია

ს. ჯიმითი. (სიღნაღის მაზრა), 16 სექტემბერი. წელს სოფელ ჯიმითს მაგრე რიგად სახარბიელო მოსავალი არა ჰქონია. არც ვენახებმა მისცა მხარი თავისის უხვის მოსავლითა, ვენახები ზოგან დაისეტყვა და ზოგანაც ნაცარმა აშრიტა მტევნები. მაგრამ ისე არ გამეწირდება ნოეს ბრუდე ნერგი, რომ ერთი მაინც არ შეგვამღეროს; კიდევ გამოვრჩებით ვენახებს იმდენს, რომ მკვდრებს სული ავუხსნათ, *) და ქალ-ვაჟი დავაქორწილოთ. პურის მოსავალი თუმცა მცირე იყო და პირველში ძვირად აფასებდა მწარმოებელი, მაგრამ გაჭირვებამ გააიაფებინა. პირველ კალოობას კოდი პური 3 მან. ფასობდა და ეხლა-კი 2 მანეთის მძლევეილიც არსად არის, ამ სიიაფის მიზეზი გახლავთ „ხრირგი“. მოსავლით, როგორც პურით აგრეთვე ღვინით იოლად წავალთ, მაგრამ როდემდის? შესაძლებელია, მომავალ წელს ამის ნახევარიც აღარ მოგვივიდეს, რაც წელს მოგვივიდა. სოფ.

*) თუ მიცვალების დღიდგან წლის თავზედ წირვა არ გადაუხადა და არ უწირა მიცვალებულის პატრონმა თავისს მიცვალებულს, სულ-აუხსნელს ეძახიან.

---

სა გაჰკივლებდა სიმღერაში, როგორც არწივი, მაგისი ხმა ალაზანზე ჩადიოდა. თამაშობა ხომ მაგისი ხელობა იყო... ოქრო იყო, ეგ დალოცვილის შვილი სიმხიარულეში გინდა, თუ საქმეში... მაგაზედ ბევრს ვერცარავინ ითამაშებდა და ვერც არავინ იმუშავებდა...

ამ დროს ვიღამაც დაიძახა: „ჩხუბი, არიქა, ჩხუბიო“. მოთამაშეთაც დაშალეს „ფერხული“ და სიცილ-ოხუნჯობით დაიწყეს ჩოხის კალთით ოფლის წმენდა შუბლიდგან...

მე და ნიკო-კი გავეშურენით იქითკენ, საიდგანაც ყაყანი, ხმაურობა გვესმოდა და საითკენაც ხალხის ბრბო მიისწრაფოდა. მართლაც დავინახეთ, რომ ორი ახალგაზდა ერთმანეთისკენ იწევდა საჩხუბრად, მაგრამ სხვებს ეჭირათ და არ უშვებდნენ... შეიქნა ხალხის ჟრიამული, ქალების წივილი, ბავშვების ჩხავილი...

— რა ამბავია, რაზედ არის ჩხუბი? შეეკითხა ნიკო ერთს გლეხ-კაცსა.

— ეშმაკმა რომ წაიღოს მაგათი თავი, სთქვა გაჯავრებით გლეხ-კაცმა და ჩხუბის მიზეზი-კი არ გვითხრა.

— გამიშვით, გამიშვით, ყვიროდა ქერა მოჩხუბარი, როგორ გამიბედა დარტყმა... მე ვაჩვენებ მაგას... მაგისი ასე და ისე!.. ყვიროდა და ილანძღებოდა ქერა.

— თავი დამანებეთ, ერთი აქვე კალიასავით გავგლიჯო, ეგ არ-საქნელი ეგა, იძახოდა მეორე შავგვრემანი ხუჭუჭ თმიანი ჭაბუკი. როგორც იყო გააშორეს ერთმანეთს და დააშოშმანეს.

— მაინც რა ამბავია, ჩხუბი რად მოუხდათ, შეეკითხა ხელ-მეორედ ნიკო ერთს ახლო მდგომარე კაცსა.

— სულ ტყუილ-უბრალოზედ მოუვიდათ ჩხუბი, შენი ჭირიმე; ქერა ხომ დაინახეთ, იმაჲ გული შეჰვარდნია მეორე მოჩხუბარა ბიჭის დაზედ. დამდგარა და სულ მიჲთვინ დაუწყვია ყურება. არ მოჰწონებია, რომ ყველას ფერ უმარილი უსვია და სალომეს-კი არ უსვიაო...

— ვინ სალომეა? შეეკითხა ნიკო.

— ეგ, შენი ჭირიმე, მეორე ბიჭის დაა, აი შავგვრემანისა... იმას მოგახსენებდით, არ მოჰწონებია, რატომ ჩემ სატრფოსაც უმარილი არ უსვიაო, ამდგარა და სალომეს უმცროსს ძმისთვის უთქვამს: „თუ ფული არა გაქვთ, აჰა ერთი აბაზი და უმარილი უყიდეთ შენ დასა, ისე ნუ გამოგყავთო; ი ბიჭსაც ამბავი მიეტანა უფროსითვინ; უფროსს, ნინიკას, ასე ეძახიან, გაჯავრებულს ქერასთვინ ერთი კარგი „პრიჭტავული“ სილა გაეკრა და ამაზედ მოუხდათ ჩხუბი და დავი-დარაბა.., ბრიყვი ხალხია, შენი ჭირიმე, ბრიყვი... დაათავა ლაპარაკი და ჩიბუხს წაუკიდა. ხალხიც დაწყნარდა და ისევ ვაკე ადგილისაკენ გაეშურა...

— აბა, საჭიდაო, საჭიდაო დასძახეთ, ბიჭებო, დაიძახა ერთმა ახალგაზდამ, რომელსაც „რუსის“ ბიჭს ეძახდნენ, რადგან თაფლის ფერი წვერულვაში ჰქონდა. „რუსის“ ბიჭი განთქმული იყო ახლო-მახლო სოფლებში თავის კოხტა და ლაზათიან ჭიდილით... „რუსის“ ბიჭმა წაართო სახრე ერთს კაცს და ხალხი მით განზედ მიაყენა...

— განი, განი, თორემ მოვიდა გახურებული სახრე, ყვიროდა და ხალხიც უკან-უკან იწევდა, ასე რომ კარგა მოზრდილი წრე შეჰკრეს...

ბიჭებმა დასძახეს «არალალე» და წრეში გამოხტა ორი ახალგაზდა, ამათ მოჰყვა მეორე რიგი, მეორეს მესამე და გაიმართა ცხარე ჭიდილი... მომღერალნი-კი გაიძახოდნენ...

„არალალე, ორ სოფელ ამოვიარე
თარალალო, ბერი არავინ მაჩვენა
ღვდელიც და იმათ მოხელეც
მშიერმა მგელმა შეჭამა!!!

II

ამის შემდეგ არ გასულა საათ-ნახევარი, რომ ეკკლესიის ეზოში შემოაჭენა ცხენი წეროსავით აწოწილმა „აპოლეტებიანმა“ ურიადნიკმა იასემ; უკანაც ორი ჩაფარი მოჩანჩალებდა...

იასეს სახე მოღუშული ჰქონდა და დაჭარხლებულს თვალებს გაჯავრებული აქეთ-იქით აცეცებდა...

ცხენიდგან გადმოხტა, აღვირი ჩაფარს მისცა და თითონ ხალხის ჯგუფისკენ გაემართა...

— გაწყვიტეთ ხმა, დაუყვირა მომღერალთ. მომღერალნი შეჩერდნენ... ორი ახალგაზდა, საჭიდაოდ მომზადებულნი შუა ალაგას პირში ჩალა-გამოვლებულნი დარჩნენ...

— აქ რასა ჰყრიხართ, საქმე არა გაქვთ? შეეკითხა ხალხს იასე და თვალები გაჯავრებით დააშტერა ხალხსა...

მაჲ რა უყოთ, შენი ჭირიმე, დაუწყო ღიმილით კიკომ, მთელ ჩვენ სიცოცხლეს მუშაობას ვწირავთ და ეგრე თითო-ოროლა დღე შაგვხვდება ხოლმე სალხინოდ და სათამაშოდ... ასეა გლეხი-კაცის ცხოვრება, შენი ჭირიმე...

იასე ამ ლაპარაკის დროს შუბლის შეჭმუხვნით დაჰყურებდა კიკოს თავის მწერვალიდგან... შემდეგ მათრახი ხელში ამართა და მრისხანედ შესჰყივლა.

— ბევრს ნუ მიჰქარავ, ბერო-კაცო! შემდეგ მიუბრუნდა ხალხს და ბრძანებით, მათრახის ქნევით უთხრა:

— ჩქარა ამ საათში მოძებნეთ გუდა-ნაბადი, ბეგარაზედ უნდა გახვიდეთ... სამარის სიჩუმე ჩამოვარდა.

დიდი-პატარა, ქალი-კაცი იასეს მისჩერებოდა და როგორც ეტყობოდა კარგად ვერ გაეგოთ «ურიადნიკის» ბრძანება.

— რა პირი დაგიღიათ და მხეცებივით შემომყურებთ, დაიშალენით და მოემზადენით, ბეგარაზედ უნდა გაგრეკოთ.

— რას მიბრძანებ, შენი ჭირიმე, მაგ ნაირი ხუმრობა ვინ გაიგონა, დაიწყო ღიმილით კიკომ...

— რას მიჰქარავ, ბებერო, რის ხუმრობა რის ფლავი, რის ჩლავი; შენ წადი გუდა-ნაბადი აიკიდე, თორემ ხომ ხედავ ამ მათრახსა, წარმოსთქვა იასემ გაჯავრებითა და თან კიკოს მათრახი მოუღერა...

— რაზედ მიწყრები, შენი ჭირიმე, დაიწყო ისევ თავმდაბლად კიკომ, მოგვითმინე დღესა და ხვალ გიახლებით, ხვალაც ამ თვისაა.

— ეხლაც კარგად წამოხვალთ, ასეა უფროსის ბრძანება და მეც ასე მწადის, გაიგე?..

— არა, ხვალა, ხვალა, თითქმის ერთ-ხმად შეჰღაღადა იასეს ხალხმა...

— გაჩუმდით, ჩქარა წაეთრიეთ, თორემ მათრახით ტყავს დაგაძრობთ, სთქვა ეს იასემ და უფრო მიუახლოვდა ხალხსა.

— ოხ, თქვე ურჯულოებო, ერთს დღეს აღარ მოგვასვენებთ... წაილაპარაკა ჩვენს უკან ვიღამაც. მივიხედე და კიკოს შვილი სვიმონა იყო.

— რა არის ახლა, დღეს მოგვითმინეთ და ხვალ გიახლებით, გაბედა სვიმონმაც.

— ახლა დღეს რატომ არ შეიძ-

ჯიმითს ძლიერ ცოტა აქვს სახნავ-სათესი მიწები, ამ ცოტასაც გამოელია ჯანი და ღონე, გამწირდა და აღარ იძლევა იმ მოსავალს, რასაც დღევანდლამდის იძლეოდა.

ს. ჯიმითს სასოფლო „კანცელარია“ ერთ პატარა ქოხში იყო მოთავსებული, ეხლა-კი ქოდალოს ბოქაულის ლ. ანდრონიკაშვილის ჩაგონებითა და მეცადინეობით თითქმის მთავრდება ქვითკირის შენობა კანცელარიისათვის. კანცელარია ორ ოთახად არის გაყოფილი: ერთი ოთახი დანიშნულია საზოგადო სასამართლოდ და მეორე მამასახლისისათვის. უფრო კარგი იქნებოდა, რომ სამ ოთახად გაეყოთ ეს შენობა და მესამე ოთახი დაენიშნათ მოსამართლეებისათვის. ანდრონიკაშვილი ისეთი კაცია, რომ, მე მგონია, იმის რჩევა-დარიგებასა და სიტყვას სიოფელი ძირს არ დაუშვებს, და რასაც იგი უბძანებს სოფელს, უეჭველად შეუსრულებს წადილს. და ძრიელ სამადლობელ საქმეს იზამდა ბ-ნი ბოქაული, რომ გარეთ გასულ ხალხსაც ყურადღებას მიაქცევდეს და არ აჩაგვრინებდეს სოფლის ჭამია მყვლეფავ ხალხს. აგრეთვე დიდ სიკეთეს მოუტანს სოფელს ჯიმითს და სხვა სოფლებსაც, რომ ერთ-ერთი გაზეთი გამოაწერინოს სოფლის მამასახლისებს, კვირა-უქმე დღეებში წაუკითხავდნენ ხალხს და ამით წერა-კითხვას მიეჩვეოდა ხალხი. მე თითონ წავუკითხე ხალხს წიგნაკი «ყვავილების კალათი» და გაზეთი «ივერია» № 190. ისე გატაცებული ისმენდა ხალხი, რომ მეტი შეუძლებელია. თუ ხალხი წერა-კითხვას მიეჩვია, უეჭველია ამ მშვენიერ კანცელარიასთან მშვენიერსავე სასწავლებლის შენობასაც გამოსჭიმავენ. მსურველი ბევრია ამ სოფელში სწავლა-განათლებისა, მაგრამ წინამძღოლი-კი არავინაა.

რაზმაძე

**სოფ. მუხრანი** აქ სხვათა შორის სცხოვრობს მთავრად ნამყოფი ვასილი გურგენიძე, რომელმაც ცოლშვილის სიკვდილის შემდეგ თავი დაანება თავისს თანამდებობას და მეორე ცოლი შეირთო. მეორე მეუღლეს შეჰყვარებია ვიღაცა დიაკვანი, რომელიც ამ ახლოს ხანში მთავრად უნდა ეკურთხებინათ. გურგენიძისას უთქვამს დიაკვნისათვის, სხვა ქალს ნუ შეირთავ ცოლად, მე შემირთე და ვეცდები მალე მოვკლა ჩემი ქმარიო. ამ დღეებში, როცა გურგენიძეს სძინებია, იმის მეუღლეს ოლღას აუღია ცული და მით თავის გახეთქა სდომებია ქმრისათვის და მხოლოდ ცხვირი მოუჭრია. ამის შემდეგ ოლღა გურგენიძისა გამოვარდნილა კარში და სოფელში ყვირილი შეუქმნია, მიშველეთ, ავაზაკებმა ქმარი მომიკლესო. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ გურგენიძის მოკვლა ცოლსა ნდომებია. ბრალდებულმა აღიარა კიდეც თავისი დანაშაული და ქმართან შერიგება მოისურვა. ეს ქალი სამართალშია მიცემული.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ინგლისურ ჟურნალ „Labor Prophet“-ში დაბეჭდილია ფრიად საინტერესო წერილი სახელოვანის იტალიელ მამულიშვილის მაძინისა სულის უკვდავობის შესახებ, მიწერილი ერთ იმის ნაცნობთან, რომელსაც ერთადერთი ვაჟიშვილი მოჰკვდომია. ამ წერილმა ისეთი დიდი ყურადღება მიიქცია, რომ რუსეთის შესანიშნავმა მწერალმა გრაფ ლ. ნ. ტოლსტოიმაც-კი გადასთარგმნა რუსულს ენაზედ და „Недѣля“-შია დაბეჭდილი. აი რასა სწერს მაძინი თავისს დანაღვლიანებულს ნაცნობს:

თუმცა სულ ერთხელ ვნახეთ ერთმანეთი, მაგრამ ისე გრძნობიერად ჩამომართვით ხელი, რომ არასოდეს არ დამავიწყდებით. ესლა, როდესაც დიდად მწუხარე ხართ, კვლავ გამახსენდა, ეს ამბავი. მსურს ხელი ჩამოგართვათ და გითხრათ, რომ თანავუგრძნობ მწუხარებასა თქვენსა. მტკიცენი იყავით, სიკვდილი საღმრთო საქმეა და ასეთის თვალითაც უნდა უყურებდეთ. გულით სწუხდეთ თქვენს დანაკარგს, მაგრამ მწუხარება თქვენი ნუ იქნება მშრალი, ღვთის მგმობი, როგორიც იმათი მწუხარებაა, რომელნიც ცას ქვეშეთში ამ დედამიწის მეტს არასა ჰხედავენ. თუ ასე არ მოიქცევით, ეგ დამცირება იქნება თქვენის სულისაცა და თქვენის შვილის სულისაც. არ ვიცი, რისი რწმენა გაქვთ. მე არც ერთი არსებული სარწმუნოება არა მრწამს და ვერავინ შემომწამებს, რომ ვითომ ბრმად მივსდევდე რომელსამე ძველს წესსა და სჯულს, ან ეხლაც იმ კვალობაზედ ვმოქმედობდე, როგორც აღმზარდეს. მაგრამ ჩემის სიცოცხლის განმავლობაში სულ ჩვენის ცხოვრების კანონის ფიქრში ვიყავ და ვფიქრობდი, რამდენადაც-კი შემეძლო. ამ კანონს ვეძებდი კაცობრიობის ისტორიასა და ჩემს საკუთარს ცნობიერებაში და მტკიცედ დავრწმუნდი, რომ სიკვდილი არ არსებობს; დავრწმუნდი, რომ სიცოცხლე საუკუნოა და სწორედ ასეთიც უნდა იყოს; რომ დაუწყნარებელი წინმსვლელობა კანონია სიცოცხლისა; რომ ყოველს ნიჭს, ყოველს ფიქრს, ყოველს სურვილს, ჩემში აღძრულს, თავისი პრაქტიკული განვითარება უნდა ჰქონდეს. თვით ის გარემოება, რომ ნიჭი, ფიქრი, სურვილ-მისწრაფება გვაქვს და თვალ-ყური-კი ვერ გვიდევნებია, რომელ ჩვენის გრძნობიდგან მომდინარეობს, იმასი დამამტკიცებელია, რომ სათავე მისი დედამიწის გარეშე იმყოფება და დედამიწის გარეშევე შეიძლება მისი განხორციელება. დავრწმუნდი აგრეთვე, რომ დედამიწაზედ არა ჰქრება რა, სახე-ნაკვთის მეტი, და ის ფიქრი-კი, რომ ვიხოცებით, რადგან ჩვენი სახე-ნაკვთი იხოცებაო, იმასა ჰგავს, რომ ვიფიქროთ, მუშა-კაცი მოკვდა, რადგან იმისი იარაღი გაცვდა და სახმარებლად აღარ ვარგაო.

მას შემდეგ, რაც ეს სარწმუნოება შევითვისე, სარწმუნოება, ერთ გვარ ნაცადი გონებითა, გულითა, ჭკუითა და სიყვარულით, ყველანი დამეხოცნენ (ერთად-ერთი და-ღა დამრჩა), ვინც-კი ძვირფასი იყო ჩემთვის ჩემს სამშობლოში. ვმწუხარეობდი და ეხლაც ვმწუხარეობ, მაგრამ სასო კი არ წამკვეთია; ვგრძნობ სიწმიდეს სიკვდილისას. ვიგრძენ ახალი მოვალეობა სიყვარულისა. ვიგრძენ, რომ არასოდეს არ უნდა დავივიწყო ის ძვირფასნი არსებანი, რომელნიც დამეხოცნენ; დავრწმუნდი, რომ უფრო ერთგულად და სიყვარულით უნდა ვეკიდებოდე სხვათ, უფრო უნდა ვცდილობდე ჩემთა მოვალეობათა აღსრულებას იმათისა და ჩემის გულისათვის. ვიგრძენ, რომ ისინი დაატანჯებიან, მე რომ ასე არ მოვიქცე-მეთქი. ვგრძნობდი, რომ ასე მოქმედებით ჩქარა გავიყვან დროს, მოვიახლოვებ-მეთქი ჟამს ჩვენის შეერთებისას და აღვასრულებ იმ ვალს, რომელსაც გვაკისრებს ჭეშმარიტი და გულ-წრფელი მიწიერი სიყვარული.

რამდენიც სამარეს დავინახავდი, იმდენი უფრო ვსცდილობდი უკეთ მოქცევას. ერთგული ვიყავი იმათი, რომელნიც წარვიდნენ, და ამიტომ თანდათან მემატებოდა წუხილი, რომ ასე თითო-თითოდ მტოვებდნენ. მაგრამ ამასთან მტკიცედ დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი სიყვარული, მარტო გრძნობიერება-კი არა, არამედ დიდებული, წმიდა საქმეა კვირტი ყვავილისა, დაპირება და ნიშანი იმისი, რომ იგი გადაიშლება და გადიფურჩქნება სადმე სხვა ადგილას, ისევე, როგორც ყოველს ყვავილს ფესვები მიწაში აქვს და ზემოდ-კი იფურჩქნება.

გულითა ვარ მოწადინებული, რომ ამავე გრძნობამ გაიღვიძოს თქვენს გულშიაც. არა მჯერა, რომ ამ გრძნობას გაგიღვიძებთ, თუ იგი არ მოგეპოვებათ, თუმცა-კი ამ სოფლად ნაცხოვრებ ძლიერთა ადამიანთა კეთილშობილი გარდმოცემა ისევე პატივსაცემსა ხდის ამ გრძნობას, როგორც მე.

## უცხოეთი

**აღმოსავლეთის ომი.** იმ ომის შესახებ, რომელიც ჩინელებსა და იაპონელებს მოუხდათ ზღვაზედ, სახელ-განთქმული კაპიტანი ჯონ-ინგლეზი, რომელიც წინად იაპონელების მთავრობისგან საომარ-ხომალდთა ექსპერტად იყო დანიშნული და რომელსაც კარგადა აქვს აწონილი მებრძოლთა ძალ-ღონე, აი რასა სწერს ინგლისის გაზეთებში.

ინგლეზის აზრით, იალუსთან მომხდარი ბრძოლა დიდი სისხლის მღვრელი და შესანიშნავი ბრძოლა ყოფილა. უფრო თვალსაჩინო გარემოება ამ ბრძოლისა ის არის, რომ ჩინელებმა, იმის მაგიერ, რომ შუა ზღვაზედ შესტაკებოდნენ თავისს მტრებს, ნაპირისკენ დაიწიეს და იაპონელებს საშუალება მისცეს მისწოლოდა და ნაპირას მიემწყვდია. კიდეც ეს იყო უმთავრესი მიზეზი ჩინელების ასე უწყალოდ დამარცხებისა. შემდეგ ინგლეზი ასახელებს იმ შეცდომათ, რომელიც ჩინელებს მოსვლიათ ხომალის აღჭურვის დროს, და განაგრძობს: «რაც შეეხება იმას თუ რა გვასწავა ამ ბრძოლამ მომავალისთვის, ამის შესახებ გარდაწყვეტილი არა ითქმისრა, ვიდრე უფრო დაწვრილებით ცნობები არ იქმნება შეკრებილიო. მხოლოდ ერთს-კი ვიტყვი, ჩემის აზრით, ამ ბრძოლამ დაამტკიცა, თუ რაოდენი ძალა აქვს ზღვის ბრძოლისთვის გაკეთებულს იარაღებს და, შედარებით, უმნიშვნელოა მაგარის ჯავშანით დაფარული ზარბაზნების

---

ლება, არ ეკადრება თქვენ ბრწყინვალებას?

— რადა ბრძანებ მაგრე, საქმე მაგაში არ არის, მიუგო სვიმონმა.

— არ შეიძლება მიბრძანო, რაშია საქმე? შეეკითხა დაცინვით იასე და უკან ხელები დაიწყო.

— საქმე იმაშია, რომ დღეს არა გვცალიან, სოფლებიდგან სტუმრები ჩამოგვსვლიან და იმათ დახვედრა უნდა, მასპინძლობა, აბა ეხლა თავი როგორ დავანებოთ, სირცხვილია ჩვენთვის... მიუგო სვიმონმა და იასეს პირდაპირ დაუწყო ყურება.

— მართალს ამბობს, მართალს, სთქვეს დანარჩენებმაც.

— ბევრს რად რატრატებთ! მამა გიცხონდათ, გუბერნატორი გეყოლებათ სტუმრად; ჩქარა, ბევრი ლაპარაკის თავი არა მაქვს, დაიშალენით...

— არ შეგვიძლიან, არა, არა, წაილაპარაკა ხალხმა.

— არ შეგიძლიანთ? კარგი მაშ... მამასახლისი სად არის?..

— ავად არის, ეს ერთი კვირაა ლოგინში წევს...

— ძლიან კარგი... ეხლა მე ვიცი... აბა ჩაფრებო, მათრახები, ვინც წინააღმდეგობა გაგიწიოთ, თავ-პირი დაამსხვრიეთ...

— წადით, წადით, დაიძახეს ოსმა ჩაფრებმა და რადგან ხალხი არ იძროდა, მათრახებით დაუწყეს ცემა. მოისმა მათრახის ტკაცა-ტკუცი, ბუტბუტი. ნახევარის საათის შემდეგ ხალხი გაიშალ-გამოიშალა...

— ოხ, ღმერთო, ღმერთო, სადა ხარ, წაილაპარაკა სვიმონმა და მწუხარებით დაჩრდილული სახე ძირს ჩაჰკიდა; შემდეგ ხელები უიმედოდ ძირს ჩაიქნია და ნელი ნაბიჯით ისიც წავიდა...

ეკკლესიის აქამდის გამხიარულებული ეზო დაცალიერდა: დავრჩით მე, ნიკო, იასე, თავის ჩაფრებით და ოთხიოდე ურემი მლოცველებისა...

— ნიკოს გაუმარჯოს, დაიძახა იასემ და მხიარულის სახით მოგვიახლოვდა...

— გაგიმარჯოს, მიუგეთ ჩვენც...

— ეგ მ-ები, ეგენი, უნდათ ყველგან თავიანთი გაიყვანონ... მოჰხვდათ თუ არა... კარგად იკადრეს დაშლა...

— დააცდიდით ამ დღეს და ხვალ წაიყვანდით ბეგარაზედ, უთხარი მე, რა ქნან მაგათაც, თავიანთთვის იმუშავონ, თუ სხვისთვის, სუყველანი მაგათ ვაწევართ ზურგზედ და დიდი რამ არის ერთხელაც არის მაინც თავისუფლად ამოიქშინონ...

— ეეე, თქვენ რომ მაგათ მიჰყვეთ, საქმე ვინ იცის სად წავა...

— ლევან, დაუძახა იასემ ერთს თავის ჩაფარს, წადი უთხარი ყველას თავიანთი გუდა-ნაბადით დუქნებთან დამხვდნენ, მეც მალე ჩამოვივლი; აბა ჩქარა...

ჩაფარმა დაიძახა „ბატონი ბრძანდებითო“ და გაექანა ბრძანების აღსასრულებლად.

— ბოსო, დაუძახა მეორე ჩაფარს, ცხენებს კარგა აჭამე, არ მომშიო...

— ბატონი ბრძანდებით.. მიუგო მორჩილებით ჩაფარმა...

— გზირს უთხარი საკვებარს ის გიშოვნის... სთქვა იასემ და ქვაზედ ჩამოჯდა...

III

ამ დროს მოგვიახლოვდა შუა ხნის კაცი, კარგად გამოწყობილი მიხა კოხიძე..

მიხა ჯერ აქ მეზვრეობდა, შემდეგ მოურავობა ჩაიგდო ერთ შეძლებულ თავადის მამულისა და იმდენად პატრონს არ ასარგებლებდა, რამდენადაც თავის ჯიბეს. ამ რიგად მან სულ ცოტა ხანში ჯიბეც გაისუქა და კარგა მამულიც შეიძინა...

— ააა, მიხას გაუმარჯოს დაიძახა იასემ და ხელი გაუწოდა...

თქვენი წყალობა ნუ მომაკლოს ღმერთმა, მიუგო თავ-მდაბლად მიხამ.

— სხვა მიხა, რას იტყვი ახალს?..

— რაღა რას ვიტყვი, ხალხი „გაპადლეცდა“, ჯიუტობა დაიწყო, არაფრის გიგონება არ უნდა, უფროსის პატივისცემა და კარგა...

— აკი იმიტომაც მოხვდათ კარგ-კარგი მათრახები...

— მაგათ მაგის მეტი ვერა არგებსრა...

სიჩუმე ჩამოვარდა...

— გთხოვთ, დღეს, ყმაწვილებო, ჩემთან სადილად მობრძანდეთ; მართალია თქვენი ღირსი-კი არავარ...

— მაგას ნუ იტყვი, გააწყვეტინა იასემ სიტყვა მიხას...

— ესე, შენიჭირიმე, დღეს ზედაშე ავხადე და კარგიც გამოდგა, ნამცეცი პრკე არა ჰქონდა...

ჩვენ გმადლობთ, უთხარი მე და შინ წასვლა დავაპირეთ მე და ნიკომ...

— არი თქვენც მობრძანდით...

— წამოდით, კაცო, გვთხოვა იასემაც, ასე რომ უარი ველარა ვთქვით და წავედით. სადილათ ქალები ბლომად იყვნენ... იასემაც დაუწყო ხუმრობა და ბევრი აცინა... უფრო-კი მასპინძლის ქალს უყურებდა.., პატარა ხანს უკან კიდეც შეზარხოშდა...

ღვინო-კი წყალივით მოდიოდა და საჭმელი საჭმელზედ მოჰქონდათ. საღამომდის იასე სულ ჰსვამდა ღვინოს, ასე რომ კარგად გამოითრო... რის წვალებით ცხენზედ შეჯდა და გასწია დუქნებისკენ, ჩაფრებიც უკან გაჰყვნენ... ჩვენც გამოვემშვიდობეთ მასპინძელს, მადლობა უთხარით და გამოვსწიეთ შინისკენ... როგორც მერე მრამბეს ს. კ—ლებს დაშლისთანავე აეკიდათ გუდა-ნაბადი და ასე დილიდგან საღამომდის ელოდებოდნენ დუქნების წინ იასეს... სტუმრებიც მშივრები წასულიყვნენ თავ-თავიანთ სოფლებში, რადგანაც უმამაკაცო ოჯახში შესვლა და პურის ჭამა არ მოეწადინებინათ...

იასე ცხენზედ სიმთვრალისგან აქეთ იქით გადად-გადმოდიოდა და თან რაღაცას ყვიროდა, მითომ და ბაიათს მღეროდა. შემდეგ ცხენს ცემა დაუწყო, გააჭენა და მიუჩდა ყველაფერი...

მე და ნიკო ხმა ამოუღებლივ თავჩაქინდრულნი მივდიოდით; ორივეს რაღაც გვაწუხებდა, რაღაც უნდა გვეთქო, მაგრამ ორივენი ისევ გაჩუმებულნი მივდიოდით. ის მე მელოდდა და მე მას, რომ ლაპარაკი პირველად იმას დაეწყო...

ამ დროს დუქნების მხრიდგან ხმაურობა შემოგვესმა... გავეშურენით და შემდეგი სურათი დავინახეთ...

იასე ყვირილით ცხენს ხალხს ახლიდა და თანაც მათრახს უქაპუნებდა გუდა-ნაბად აკიდებულს ხალხსა... ხალხი ხმაურობდა და ბუტბუტით აქეთ-იქით გარბოდა...

შორიახლო სვიმონი დიდი კომბლით იდგა და ანთებული სახით შეჰყურებდა ღვინოსაგან გაჭარხლებულს იასეს...

— კარგი, შენიჭირიმე, ნუღარა გვცემ, რა დაგიშავეთ... ეხვეწებოდნენ გლეხები...

— თქვე..- მ... მ... ძ—ეგო, თქვე

სიმძიმე. საზოგადო აზრის წინააღმდეგ, უნდა ითქვას, რომ არაფერი გარჩევა არ არის ჯავშნიან და საზოგადოდ სხვა სამხედრო ხომალდებ შუა. სხვა რომ არა იყოს-რა ჩინელების ფლოტი უმთავრესად ჯავშნიან ხომალდებისაგან შესდგებოდა და ოთხი მათგანი ზღვაში ჩაიძირა, იაპონელების ფლოტი-კი სულ უბრალო სამხედრო ხომალდებისაგან იყო შემდგარი, მაგრამ ერთიმათგანიც არ დაღუპულაო. დასასრულ, ინგლეზი იმ აზრისაა, რომ იაპონელები შეაკეთებენ თუ არა თავისს ხომალდებს, მაშინვე კვლავ თავს დაესხმიან ჩინელებს და ბრძოლის ასპარეზს თვით იმათ წყლებზედ გადაიტანენ. ხმელეთის ჯარი-კი კორეში იმოქმედებსო.

—

აი ზოგიერთი ცნობანი ჩინელების პენგ-იანგთან დამმარცხებელის მარშალის იამაჰატას შესახებ.

მარშალი გრაფი ამრითომო-იამაჰატა იმ გამოჩენილს გვარს ეკუთვნის, რომელიც იაპონიის იმპერატორის ნათესაობას ჩემულობს. ამ მარშალმა დიდი და გამჭრიახი მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ბრძოლაში 1872 წ., ევროპაში პრინცის საიგოს სასწავლებლად მოგზაურობის დროს იამაჰატა თან ახლდა და 1872 წ. დანიშნულ იქმნა სამხედრო მინისტრად. 1877 წ. მომხდარი აჯანყება დაამშვიდა და შემდეგ ათის წლის განმავლობაში იედოს გამაგრების საქმეს ჰმართავდა. 1888 წელს იგი დანიშნულ იქმნა პირველ მინისტრად და სამის წლის შემდეგ საიდუმლო საბჭოს პრეზიდენტად დაინიშნა; ამ თანამდებობას დღესაც ასრულებს.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

არტისტი-ქალი სარა ბერნარი მეტად თანაუგრძნობს თურმე იაპონელებს. პარიზში თავისს სახლში სარა ბერნარს თავისი მისაღები ოთახი ისე მოუმართავს, როგორც იაპონელთა აქვთ მოწყობილი. თვით სარა ბერნარს სტუმრების მიღების დროს იაპონური კაბა აცვია, ამ ოთახში სკამები არ არის, იატაკზედ ხალიჩებია გაშლილი და ბალიშები აწყვია. სტუმრები ამ ბალიშებზედ სხდებიან. სუფრა იშლება დაბალ სკამზედ, სწორედ ისე, როგორც იაპონიაში იციან და საჭმელებსაც იაპონელი მზარეული ამზადებს.

**

ბატენბერგის პრინცი ფრანც-იოსები, ბოლგარიის მთავრად ნამყოფის ალექსანდრე ბატენბერგელის ძმა, ცოლად ირთავს მილიონერის პატრონის გულდის ქალს ანნას, რომელსაც წელიწადში ექვსი მილიონი დოლარი (12 მილ. მანეთამდე) შემოსავალი აქვს თურმე.

პეტერბურგის ბირჟა, 16 აგვისტო.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $7,_{42}$ | $7,_{45}$ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $148^1/_4$ | 149 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | 241 | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | $220^1/_2$ |
| 4°/₀ მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 194 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀ . . . . . | — ,, | — ,, | $101^1/_2$ |
| 5°/₀ . . . . . | — ,, | — , | 100 |
| ქუთაისის ბანკის 6°/₀. | — ,, | — ,, | $101^1/_2$ |
| 5°/₀. . . . . . | — ,, | — ,, | 100 |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | 99 ,, | — ,, |


პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პრიტკასევიჩი,—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

გ. ი. ფრანციუსი, 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)

„ქართული წარმოდგენების მმართველი ამხანაგობა“ ამით აუწყებს ყველა სცენის მოყვარეთ, რომელთაც სურვილი და ხალისი აქვთ მომავალ სეზონს მიიღონ მონაწილეობა ქართულ წარმოდგენებში, მოსალაპარაკებლად მიჰმართონ ამავე ამხანაგობის წევრს

ვალერიან გუნიას

ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 7.

ვ. გუნიასვე მიჰმართონ იმათ, ვისაც ან ორიგინალი ან ნათარგმნი პიესები აქვთ თეატრში წარმოსადგენად.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ პიესასთან თავიანთ პირობებიც უნდა გამოჰგზავნონ. (8—მ. —1)

ქ. გორში

ისყიდება სავაჭროდ გამოსადეგი ადგილი, ზომით 176 ოთხ-კუთხი საჟ., პატრონის გორიდგან სხვაგან გადასახლებისა გამო. ფასის შეტყობა შეიძლება გორში მიხეილ თადგირიძესთან, ხოლო ტფილისში თვით პატრონ ობოლენსკისთან (ავლაბარში, კახეთის ქუჩაზედ, თ. ბარათაშვილის სახ., № 2).

(1—1721—1)




საპონი «ნევის გაპრიზი»
საპონი «სათო»
საპონი «მიუსკ»

მშვენიერი სუნისა, მეტადრე სასიამოვნო ხმარებაში.

ПРОДАЕТСЯ ВЕЗДѢ.
Гл. складъ: С.П.Б. Александр. площ. 9
МОСКВА, Никольская, д. Шереметева
ВАРШАВА, Новый Свѣтъ, 37

(18—15—1)


ვერცხლისა


ოქროსი


ტფილ. გამოფენა.




ქარხანა.

ზეთიანის საღებავებისა (კრასკების)

ა. ა. თუთაევისა

ტფილისში, იარმუკაზედ.

დიდის ხნის გამოცდილებითა და ახლად შეძენილის დიდის მაშინის შემწეობით, რომლითაც საგანგებოდ ილესება და მზადდება საღებავები, ვამზადებ ყოველ გვარს ზეთიანს საღებავს, რომლებიც დღეიდგან რკინის კოლოფებშიაც იქნება გაკეთებული სხვა-და-სხვა წონისა ჩემის ფირმით. ვაუწყებ ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას და სხვა-და-სხვა ქალაქებიდგან შემომკვეთლებს და ვაძლევ სიტყვას, უგზავნო საუკეთესოდ მომზადებული საქონელი და გასაშრობი კრასკები სწრაფად და რაც შეიძლება იაფ ფასად.

რამდენად მკვიდრია და გამძლე ჩემ მიერ გაკეთებული კრასკები ამის შემოწმება შეუძლიან ყველას, ვინც მოისურვებს და ჰნახავს მეორე წლის შეღებილ დუქნების სახურავ ბანებს ბორდოსფრათ, მიხეილის ხიდზედ, რომელიც ეკუთვნოდა წინათ მირზოევს და ახლა ფარსადანოვს ეკუთვნის; ალექსანდრე მუნთოვის სახლის კრიშა მწვანე ფერად-ედიანგით, სადაც ობოლთა მფარველი სასამართლო იყო; და დიდის ფერად აგჭალის ქუჩაზედ სასულიერო სასწავლებლის სახლის სახურავი აღმოსავლეთის მხრივ.

გარდა გალესილი და დამზადებულ კრასკებისა, ვყიდი ყოველ გვარს გამშრალს კრასკებს, ზეთსა, სკიპიდარს, პენძს, ლაქს, კისტებს, ბრონძს, ალიფს, მასსას, ლიტო-ტიპოგრაფის კრასკებს და ყველა მოწყობილებას სამხატვრო საქმისას, თუ ლიტო-ტიფოგრაფიისას.

ვინც დროიანად შემომიკვეთს, ყველ გვარას ხელოსნებსაც ვუშოვნი საქმეს გასაკეთებლად, როგორც ტფილისში, ისე გაგზავნით სხვა ადგილებში. თუ დრო გვექნება, თვით ჩვენ ვიკისრებთ ყოველ საქმის შესრულებას, ყოველ რემონტს.

—1579—26 ალალო თუთაევი

РЕДАКЦІЕЙ „ВѢСТНИКА ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ“
ПРЕДПРИНЯТО

НОВОЕ ОБЩЕДОСТУПНОЕ ИЗДАНІЕ

собранія сочиненій избранныхъ иностранныхъ писателей.

Цѣль этого изданія дать возможность русской читающей публикѣ пріобрѣтать ПО НЕБЫВАЛО УДЕШЕВЛЕННОЙ ЦѢНѢ сочинеція образцовыхъ иностранныхъ писателей, собранныя вмѣстѣ въ соответственномъ числѣ томовъ удобнаго формата, доброкачественной внѣшности, въ безукоризненныхъ переводахъ, сдѣланныхъ впервые и заново. Ежемѣсячно 15-го числа будетъ выпускаться по два тома сразу, что составитъ ВЪ ГОДЪ 24 ТОМА (не менѣе 480 листовъ или около 8,000 страницъ въ 8-ю долю). Такимъ образомъ подписчики на это изданіе постепенно, въ непродолжительномъ времени, могутъ составить себѣ цѣлую библіотеку произведеній главныхъ и выдающихся корифеевъ всемірной литературы.

Въ настоящее время ОТКРЫТА ПОДПИСКА НА:

1) СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ АЛЬФОНСА ДОДЭ

ВЪ 12-ТИ ТОМАХЪ.

Цѣна за 12 томовъ только по подпискѣ 3 Р. съ доставкой и пересылкой 4 Р.

1-й томъ выйдетъ 15 октября 1894 г., остальн. 11 том. будутъ выпускаться 15 числа каждаго слѣдующаго мѣсяца, а все изданіе окончится 15 сентября 1895 г.

2) СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ ТЕККЕРЕЯ

ВЪ 12-ТИ ТОМАХЪ.

Цѣна за 12 томовъ только по подпискѣ 3 Р. съ доставкой и пересылкой 4 Р.

1-й томъ выйдетъ 15 октября 1894 г., остальн. 11 том. будутъ выпускаться 15 числа каждаго слѣдующаго мѣсяца, а все изданіе окончится 15 сентября 1895 г.

Подписывающіеся на оба изданія вмѣстѣ (цѣна 6 р., съ доставкой и пересылкой 8 р.) пользуются разсрочкой платежа при подпискѣ вносится 3 р., 15 декабря 1894 г. 3 р., а 2 р. за доставку и пересылку 15 марта 1895 г.

Гг. служащіе въ казенныхъ и частныхъ учрежденіяхъ пользуются разсрочкою, за ручательствомъ гг. казначеевъ.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ въ редакціи «Вѣстника Иностранной Литературы», С.-Петербургъ, Верейская ул. (собствен. д.) и въ конт. редакціи—Гостиный дв. Зеркальная л., 63, магаз. Пантелеева (прот. Пажескаго корпуса); въ Москвѣ—въ конторѣ Печковской, Петровскія линіи.

Редакторъ Ѳ. И. Булгаковъ. Издатель Г. Ѳ. Пантелеевъ.

(8—7)


ჯიუტებო, დაიწყო ლუღ-ლუღი იასემ და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მათრახი მოიქნია. მ თრახი მოხვდა ბერი-კაცს კიკოს ლოყას და საშინელი ტკაცანი გამოიღო...

— ოოოჰ, ურჯულოვ, ძაღლო, წამოიყვირა ხმა მაღლა კიკომ...

— რა-ი, რაო, გაათრდა ამ სიტყვებზედ იასე და მოჩრილ კიკოს წელს მათრახი სეტყვასავით დააყარა...

— მოვკვდი, დაიძახა საშინელი ხმით ბერი კაცმა...

— აი, შე მამაძ.... მაგრამ იასემ ეს სიტყვები ვეღარ დაათავა.. მოკვეთილსავით, თავ-გახეთქილი ცხენიდგან ძირს გადმოეშო.

— მიშველეთ, ეს-ღა სთქო იასემ და სული დალია...

— ეგ გინდოდა და მოკვდი, წაილაპარაკა სვიმონმა, თავ სისხლიანი კომბალი ძირს დაანარცხა და ბერი კაცს, თავის მშობელს, აყენება და დაყვავება დაუწყო...

ხალხი რამდენსამე წუთს გაჩუმებული იდგა და ხან იასეს უყურებდა, ხან სვიმონს... ბოლოს ჩაფრებიც გონს მოვიდნენ, აქამდის კი იდგნენ ცოტა მოშორებით და სიცილით შეჰყურებდნენ „ურიადნიკის“ ქცევას...

— შვილო, წაიჩურჩულა საწყალმა ბერმა კაცმა, ეგ რა ჩაიდინე, რაზედ დამღუ...პე და ორი დიდი კურცხალი ჩამოჰვარდა მწუხარებით სავსე თვალიდგან...

ამ დროს ჩაფრებიც მისცვივდნენ სვიმონს და გათოკეს... სვიმონი არ გასძალებია, გაჩუმებულმა თავი შეაბოჭინა..

— აი, შე ძაღლო, შენ, მოიცა სად გიკრავენ თავსა, იქ მოგარჯულებენ.......

—სად, შეეკითხა სვიმონი...

— სად? ციმბირში, უთხრა ჩაფარმა და თანაც მათრახი გადაჰკრა...

— ციმბირში, ციმბირში, წაიდუდუნა სვიმონმა და სახეზედ ყვითელმა ფერმა გადაჰკრა..

— ციმბირში, გაიმეორა სვიმონმა, გული შეუშფოთდა... მიიხედ მოიხედა და დაინახა თავისი თავ-ჩაქინდრული, მწუხარებისაგან პირ-დაღმეჭილი მამა, მოაგონდა ბებერი დედა, დები და ის... ის... ოხ, ღმერთო ჩემო! წარმოსთქვა მწუხარებით სვიმონმა და ორი დიდი ცრემლი გადმოეკიდა თვალთაგან...

— ციმბირში, იმეორებდა გუნებაში სვიმონი და გული განუსაზღვრელ მწუხარებით ევსებოდა... წაიყვანეს გათოკილი სვიმონი, მხოლოდ იასეს გვამს ყარაული დაუყენეს... ხალხი იდგა და გაშტერებით დასცქეროდა იასეს.

არ იცოდა სად წასულიყო ბეგარაზედ თუ შინისკენ...

ვლ. მცხეთელი

1894 წელსა

Дозволено цензурою Тифлисъ, 19-го Сентярбя 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.